<u>პროექტი</u>

საქართველოს პარლამენტის რეგლამენტი

„საქართველოს პარლამენტის რეგლამენტში ცვლილების შეტანის შესახებ“

მუხლი 1. საქართველოს პარლამენტის რეგლამენტს (საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, №8, 25.03.2004, მუხ. 38) დაემატოს შემდეგი შინაარსის 5^1 მუხლი:

„მუხლი 5^1

1. საქართველოს პარლამენტში დაწესებულია საქართველოს თავისუფლების ორდენი და პარლამენტის მედალი.

2. საქართველოს თავისუფლების ორდენი გადაეცემა საქართველოს მოქალაქეს, მოქალაქეობის არ მქონე პირს და უცხოელს პარლამენტარიზმის, პარლამენტის მიერ დასახული ამოცანების განხორციელებაში და საქართველოს განვითარების საქმეში, თავისუფლებისა და დემოკრატიის განვითარებაში, ტოლერანტობისა და ადამიანის უფლებების დაცვაში შეტანილი თვალსაჩინო პირადი წვლილისათვის.

3. პარლამენტის მედლით ჯილდოვდებიან საქართველოს პარლამენტის აპარატში მომუშავე საჯარო მოსამსახურეები საქართველოს პარლამენტის საქმიანობაში შეტანილი განსაკუთრებული წვლილისათვის.

4. საქართველოს თავისუფლების ორდენით პირის დაჯილდოების შესახებ გადაწყვეტილებას იღებს საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე საქართველოს პარლამენტის ბიუროსთან შეთანხმებით.

5. პარლამენტის მედლით პირის დაჯილდოების შესახებ გადაწყვეტილებას იღებს საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე საქართველოს პარლამენტის აპარატის უფროსის წარდგინებით.

6. საქართველოს თავისუფლების ორდენით და პარლამენტის მედლით პირის დაჯილდოების წესს, ფულადი ჯილდოს ოდენობასა და თავისუფლების ორდენის აღწერილობას ბრძანებით ადგენს საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე. “.

მუხლი 2. ეს რეგლამენტი ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს პარლამენტის
თავმჯდომარე *დავით ბაქრაძე*